GEFF Green Economy Financing Facility

European Bank for Reconstruction and Development

მომავალი ელექტროა: განახორციელეთ ინვესტიცია ელექტრომანქანებში და დაზოგეთ ხარჯები, კომპანიის იმიჯის გაუმჯობესებასთან ერთად

GEFF პროგრამის დაფინანსებით თქვენ შეგიძლიათ განაახლოთ თქვენი ავტოპარკი ელექტრო ან ჰიბრიდული ავტომობილებით, რაც შეამცირებს თქვენი ბიზნესის საოპერაციო ხარჯებს და წარმოგაჩენთ, როგორც მდგრად კომპანიას.

მხარდაჭერილია:

GREEN CLIMATE FUND

Federal Ministry Republic of Austria Finance

სწრაფად მზარდ ბიზნეს სამყაროში, კონკურენტებზე წინ დგომა ინოვაციების მიღებასა და მდგრადობის ხელშეწყობას ნიშნავს. იქ კი სადაც კორპორატიული სატრანსპორტო საშუალებები ელექტროა, წარმატებისაკენ სვლა მეტად სუფთა, ჭკვიანური და ეფექტურია. ელექტრომობილების ფასი, წლიდან წლამდე იკლებს, რასაც წამყვანი მწარმოებლების ელექტრომანქანებით დაინტერესება განაპირობებს. "GEFF საქართველოში" პროგრამის დაფინანსება დაგეხმარებათ განაახლოთ თქვენი ბიზნესის ავტოპარკი, და ამავე დროს შეამციროთ თქვენი ხარჯები და ნეგატიური ზეგავლენა გარემოზე.

ელექტრომობილებს ბიზნესისთვის მრავალი სარგებელი აქვს:

ხარჯების დაზოგვა

- *შემცირებული საოპერაციო ხარჯები:* ელექტრომობილები საჭიროებს ნაკლებ მოვლას, ვიდრე ტრადიციული შიდა წვის ძრავის მანქანები, რაც ამცირებს მომსახურებისა და შეკეთების ხარჯებს.
- *საწვავის დაზოგვა:* ბატარეის შენახული ელექტროენერგიის მექანიკურ ენერგიად გარდაქმნა ელექტროძრავის გამოყენებით სამჯერ უფრო ეფექტურია, ვიდრე შიდა წვის ძრავა, რომელიც გარდაქმნის საწვავის წვის ენერგიას მექანიკურ ენერგიად. აქედან გამომდინარე, ელექტრომობილის მართვა გაცილებით იაფია, ვიდრე ნებისმიერი ტიპის ბენზინზე ან დიზელზე მომუშავე ავტომობილის მართვა, რაც იწვევს საწვავის ხარჯების მნიშვნელოვან დაზოგვას.

მდგრადობა

- *შემცირებული ემისიები:* ელექტრომობილს არ აქვს გამონაბოლქვი, რაც კომპანიის ნახშირბადის კვალსაც ამცირებს და ხელს უწყობს მას მდგრადი მიზნების მიღწევაში
- *გაუმჯობესებული ჰაერის ხარისხი:* ელექტრომობილები არ აბინძურებენ ჰაერს, რაც სასიკეთოა იმ გარემოსთვის, სადაც ბიზნესი ოპერირებს.
- *შემცირებული ხმაური:* ელექტრომობილები გაცილებით ჩუმია, რაც ამცირებს ხმაურის ზოგად დონეს.

ქალაქში მართვის უპირატესობები

- *უპირატესობა საცობში:* ელექტრომობილების ფუნქციონირება განსაკუთრებით მომგებიანია ურბანულ გარემოში, სადაც მჭიდრო მოძრაობაა, და სადაც მანქანები მოძრაობენ დაბალი საშუალო სიჩქარით და ხშირად ჩერდებიან. შიდა წვის ძრავის მქონე მანქანისგა განსხვავებით, ელექტრომობილი თითქმის არ მოიხმარს ბატარეის ენერგიას ზემოთ აღწერილი მუშაობის რეჟიმში; უფრო მეტიც, ელექტროძრავა, შიდა წვის ძრავისგან განსხვავებით, აღადგენს ენერგიას დაღმართზე მოძრაობისას.

რეპუტაციის ამაღლება

- *მწვანე რეპუტაცია:* მდგრადობისადმი ერთგულების დემონსტრირებამ შეიძლება გააძლიეროს კომპანიის ბრენდის იმიჯი და რეპუტაცია.

რატომ უნდა შეიძინოთ ელექტრომობილები?

საქართველოში რეგისტრირებული ელექტრომობილების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. ექსპლუატაციისა და ტექნიკური თვალსაზრისით დადებითი თვისებების გარდა, ამ მანქანების პოპულარობას შეიძლება მივაწეროთ სამთავრობო უწყებების მიერ შემუშავებული მასტიმულირებელი ინიციატივებიც:

- დაბალი საოპერაციო და ტექნიკური ხარჯები
- ეკოლოგიური სისუფთავე
- საბაჟო გადასახადისგან გათავისუფლება
- საქართველოს მასშტაბით უფასო პარკირება
- დამტენი სადგურების ძლიერ განვითარებადი ქსელი
- უფრო ხელმისაწვდომი ტექნიკური შემოწმება
- თბილისის მერია, მოთხოვნის შემთხვევაში, მფლობელების საცხოვრებელ ადგილას დამტენის სადგურებს დამატებით ხარჯის გარეშე დააყენებს.

გარდა ამისა, ელექტრომობილის ტაქსის მძღოლებისთვის ტაქსის ლიცენზია გაიცემა უფასოდ.

GEFF საქართველოში დაფინანსება ვრცელდება მრავალი ტიპის ელექტრომანქანაზე, როგორიცაა:

- სამგზავრო ავტომობილები და მათი დამტენები
- მსუბუქი კომერციული მანქანები (პიკაპები, მინივენები და ა.შ.)
- მძიმე კომერციული მანქანები (დამტვირთველები და ა.შ.)
- საზოგადო ტრანსპორტი (მიკროავტობუსები, ავტობუსები)

ამასთან, დაფინანსების გამოყენება შესაძლებელია პირადი გამოყენების ავტომანქანების შესაძენად.

GEFF-ს აქვს დაფინანსების ორი გზა:

წინასწარ განსაზღვრული ინვესტიციები. თუ თქვენ იცით რომელი თანამედროვე ტექნოლოგიის შეძენა გსურთ, თქვენ შეგიძლიათ მოძებნოთ ის მწვანე ტექნოლოგიის სარჩევში, სადაც დაგხვდებათ ყველა ის ტექნოლოგია, რომელიც, $300,000 (ან ექვ. სხვა ვალუტაში) ფარგლებში, წინასწარ დამტკიცებულია GEFF ფინანსირებისთვის.

უფასო ტექნიკური კონსულტაციის ფარგლებში შეფასებული ინვესტიციები. თუკი თქვენ გაქვთ პროექტი, რომელიც მრავალი კომპონენტისგან შედგება, თქვენ შეგიძლიათ GEFF-ის **უფასო კონსულტაცია** მოითხოვოთ, რის შედეგადაც GEFF-ის ექსპერტები გააანალიზებენ თქვენს პროექტს და საუკეთესო გადაწყვეტილებებს შემოგთავაზებენ.

როგორ ვისარგებლოთ GEFF დაფინანსებით?

I. შეარჩიეთ თანამედროვე ელექტრომანქანა მწვანე ტექნოლოგიის სარჩევიდან ან პირდაპირ მიმართეთ მომწოდებელს

II. შეაჯერეთ თქვენი პროექტის ფინანსური და ტექნიკური მოთხოვნები

III. მიმართეთ ჩვენს პარტნიორ ფინანსურ ინსტიტუტს: https://ebrdgeff.com/georgia/financing/

IV. საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვეთ GEFF-ის ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების უფასო ტექნიკური შეფასება

V. მიიღეთ სესხი

VI. შეიძინეთ ელექტრომანქანები

VII. ისიამოვნეთ გრძელვადიანი ენერგოდანაზოგით

GEFF დაფინანსების წარმატებული მაგალითი კერძო სექტორიდან:

ინვესტიცია	4 ელექტრომობილი: 1 Nissan Leaf და 3 Nissan NV
ინვესტორი	ჩემი ოფისი
ბიზნესის ტიპი	საოფისე ინვენტარის, ქაღალდის პროდუქტებისა და საკანცელარიო ნივთების გაყიდვა და დისტრიბუცია
აღწერა	წლიური ხარჯის 2,800 აშშ დოლარით შემცირება
ინვესტიციის მოცულობა	82,700 აშშ დოლარი
CO_2 დანაზოგი	5 ტონა წელიწადში

დამატებითი კითხვების შემთხვევაში, დაგვიკავშირდით

GEFF საქართველოში
თამარაშვილის ქ. 13ა, თბილისი
georgia@ebrdgeff.com | +995 32 2290809 | www.ebrdgeff.com/georgia

მომზადებულია: 2023 წლის 18 სექტემბერს